წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. ოთხშაბათი 29 ივნისი

# სამშობლო

№ 392

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ორშაბათიდან, 27 ივნისიდან ნაჩვენები იქნება:

**ცხოვრება წუთიერია, ხელოვნება—უკვდავი.**

ძლიერი დრამა თანამედროვე ცხოვრებიდან 4 ნაწილად, მონაწილეობას იღებენ საუკეთესო მსახიობნი: მოზჟუხინისა და პანოვისა.

**ხუმრობით სიყვარული**

კომიკური, გომონის ფაბრიკისა

**ანონსი:** ხუთშაბათიდან 30 ივნისიდან ახალი პროგრამა

**ცაცხვთა ხეივნის საიდუმლეობა.** თანამედროვე დრამა 4 ნაწ. ა. მ. კაზუხინის რომანით, საიმპერატორო მცირე თეატრის მსახიობის ვ. მაქსიმოვის მონაწილეობით და რეჟის. ვ. კ. ტატიშჩევის მიერ დადგმული.

**ქმარს ვეძებ ჩემი ცოლისთვის.** მხიარული კომედია—ფარსი 2 ნაწ. ცნობილ მსახიობის კამილლო დე რიზოს და სხვათა მონაწილეობით

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ორშაბათიდან, 27 ივნისიდან ახალი პროგრამა.

**ალმასის ნათლული.**

თანამედროვე დრამა 3 ნაწილად ამბროზიოს სტუდიის საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

**გომონის ქრონიკა** მიმდინარე ამბები.

**ფეხშიშველა სიყვარული.**

მონაწილეობას ღებულობენ პანოვისა, ლაზაროვისა, მურომსკისა და ლენინისა. სურათს დასდგაშს ბ. ნ. სვეტლოვისა.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 30 ივნისიდან ახალი პროგრამა **გომონის ქრონიკა,** მიმდინარე ამბები.

**ულტუს—შურისმაძიებელი.** კინო-რომანი 6 ნაწილად. უმთავრეს როლს გონდონის სამეფო თეატრის მსახიობი ორელ სიდნეი ასრულებს. დეკორაცია ინგლისის ცნობილ მხატვარის მდ. ჯევეის ესკიზების მიხედვით.

ქუთაისის ერთ-ერთ საშუალო სასწავლებლის უფროსი კლასის **რუსული ენის მასწავლებელი** (ტომით რუსი) რჩება რა საზაფხულოდ ქუთაისში,

**ამზადებს მოწაფეებს**

საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის, სპეციალურად კი რუსულ ენაში.

მისამართი: მველი თბილისის ქუჩა, სახლი წინამძღვაროვისა.

პირადად მოლაპარაკება ნაშუადღევის 2—5 საათამდე. 8—4

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **მოკიელის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. საათ. 6-9 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ექიმი** ა. მ. **ასათიანი.** რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათყოფების მიღება 1 აგვისტომდის შესწყვიტა.

**ბებია** მ. მ. **კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ,

**ექიმი** **ი. ჩარექოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **და ბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით 12½—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათ მყოფებს.

მისამართი: ლვვაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**დოქტორი მედიცინისა**

პრივატდოცენტი

**ვ. პ. მოსეშვილი**

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8საათ. 2 ოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

**გამოცდილი მასწავლებელი**

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „**სამშობლოს**“ რედაქც.

დ. ლაილაში.

**კბილის ექიმი**

**ანნა პარმენის ასული მებანოიძე**

25 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს. სახლი ნესტორ კაჭკაჭაშვილისა.

ბორჯომში

**ექიმი** სიმონ **ხეჩინოვი** 25 ივანობისთვიდან 25 მარიობისთვემდე მიიღებს ავათმყოფებს **ბორჯომში** (საყდრის ქუჩა № 98).

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ეფროსინე და ძე შალვა რუხაძენი, სიდედრი დარია, ცოლის ძმები და დაი: მიხეილ, ვარლამ და ეფემია ლოლობერიძეები; რძლები: პელაგია, სალომე და რებეკა; ძმის შვილები: ალექსანდრე, რომანოზ, ლუკა, ნატალია, ოლღა, ნასტია და თამარა ლუკას ძე და ასულნი; სოფიო და ანნა პეტრეს ასულნი; რაჟდენ და კოლია ვასილის ძენი რუხაძეები, ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებას ძვირფასის

**კონსტანტინე იაგორის ძის რუხაძისას.**

გამოთხოვების დღე დანიშნულია 30-ს ამა ივნისს, დღით ხუთშაბათს, და დაიკრძალება ადგილობრივ სასაფლაოზე ნაშუადღევის ოთხ საათზე. ქ. ფოთი, დიდ კუნძულზე, ხილკოვის ქუჩა, საკუთარი სახლი. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 ს.

მწუხარებაში მყოფნი სიმონ, ვლადიმერ, დავით, მიტროფანე და ივანე ბეჟანის ძენი რუხაძეები ცოლშვილით, აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ გადაცვალებას საყვარელი ბიძაშვილის

**კონსტანტინე იაგორის ძის რუხაძისას,**

დაკრძალვა მოხდება ქ. ფოთში, 30 ივნისს, ხუთშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე. ხილკოვის ქუჩა, საკუთარი სახლი.

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები.

**უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისა.**

დასავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 25 ივნისი გენ. ბრუსილოვის ჯარი მდ. სტოხოდს უახლოვდება და ერთობ სჯაბნის მტერს, რომელიც დიდ წინააღმდეგობას უწევს. ნობელ სროკანის (პრიპიატზეა) მიდამოებს. მრავალი ადგილიდან განდევნილი მტერი ქვედა სტოხოდისაკენ იხევს. წინა ღამეს ჩვენი ცხენოსანი ჯარი დაეწია მტრის ქვეითა ჯარს და უნგრელთა გუსარებს ტროიანკის სამხრეთით, სოფ. რუზესთან (ლეშნევსკას სამხრეთ-დასავლეთით ძ სტოხოდიდან 2 ვერსის სიშორეზე.) ზაბაიკალელებმა ცხენდაცხენ მედგრად შეუტიეს და მრავალი გუსარი აჰკუწეს, დანარჩენნი ტყეებში გაჰფანტეს. სოკულის ჩრდილოეთით, სტირსა და სტოხოდს შუა, სოფ უგლუსა და ნავოზის აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა გამაგრებული პოზიცია აიღო. წამოიყვანა მრავალი ტყვე 3 გაბიცა. ამავე დღეს ჩვენმა ჯარმა ფეხდაფეხ სდია მტერს და მდ. სტოხოდი გადალახა სოფ. უგლუსთან. 21-დან 24 ივნისამდე დაახლოვებით ჩვენ ხელთ გვიგდია ტყვეთ არა ნაკლებ 300 აფიცრისა, მათში ორი პოლკის უფროსია და 12000 ჯანსაღი ჯარისკაცი; დავლათ დაგვრჩა: არა ნაკლები 45 მძიმე და სუბუქ ზარბაზნისა, 45 მდე ტყვიისმფრქვეველი, მრავალი ზარბაზნის ყუმბარა, თოფის ტყვია და საგძალი. გენ. ებერტის ჯარის ბრძოლის პირზე ბევრგან ბრძოლა გაჩაღდა. ხოლო ბარანოვიჩის აღმოსავლეთით ფართო-ასპარეზზე ნამეტანი მძაფრი და გამუდმებული ბრძოლაა. მტერს გააფთრებული კონტრიერიშები მოაქვს. საერთოდ მდგომარეობა უცვლელია. სხვა ასპარეზებზე ჯერჯერობით აღსანიშნავი არაფერია.

**პეტროგრადი.** 26 ივნისი. გენ. ლეშის ჯარი კვლავ წინ მიიწევს ქვედა სტოხოდისაკენ. მტერი უწესრიგოთ უკან იხევს. სარნი-კოველის რკინის გზაზე ბრძოლით ავიღეთ სოფ. გულევიჩი და კაშევკა. სამხრეთით, სოფ. არსანოვიჩ-იანოვკას არემარეს ცეცხლი მოედვა გუშინ მედგარი ბრძოლების შემდეგ გენ. ლეჩიცკის ჯარმა გალიციაში დაიპყრო მნიშვნელოვანი პუნქტი დელატინი, რომელიც მტერმა დასცალა. სხვადასხვა ადგილას ხელთ ვიგდეთ მრავალი საომარი მასალა (ფოლადის ფარები, ხელის ყუმბარები ტყვიაწამალი და მავთული.)

ბარანოვიჩის აღმოსავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით წინანდებურად მედგარი ბრძოლებია, მტერი დიდ წინააღმდეგობას გვიწევს. ბუკოვინაში კიმპოლუნგის დასავლეთით სოფ. ფუნდულ მოლდავასა და ბეზპუტნასთან უკუვაქციეთ მტერი, რომელმაც დასტოვა ბრძოლის ველზე მრავალი ლეში, დავატყვევეთ 7 აფიცერი და 530 ჯარისკაცი. 10-დან 24 ივნისამდე გენ. ჩისკის ჯარს დაუტყვევებია 674 აფიცერი და 30,575 ჯარის კაცი, ხელთ უგდია 18 ზარბაზანი, 100 ტყვიისმფრქვეველი, 14 ყუმბარის ყუთი. დანარჩენ ასპარეზზე აღსანიშნავი არაფერია.

**შავი ზღვა.**

მტრის წყალქვეშამ გაუფრთხილებლად ჩაღუპა საჰოსპიტლო გემი „ვპერიოდ“-ი. მას ყველა შემოღებული ნიშნები აჩნდა. დაიღუპა 7 კაცი, დანარჩენნი გადავარჩინეთ.

კავკასიის ასპარეზი.

24 ივნისს ღამე მდ. პლატანის დასავლეთით ოსმალთა იერიშები ცეცხლით მოვიგერიეთ. ქ. არზრუმის მერიდიანის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა დაიპყრო მთელი რიგი ოსმალთა სიმაგრეებისა. ამასთანავე დაატყვევეს 67 აფიცერი, მათში ორი პოლკის უფროსი, ერთი ბატარეის უფროსი; და 799 ჯარისკაცი. 25 ივნისს არზრუმის მერედიანის დასავლეთით წარმოებულ ბრძოლებში ჩვენი ჯარის ერთმა ნაწილმა დაატყვევა 60 აფიცერი, 4 ექიმი და 1050 ასკერი, აგრეთვე წამოვიღეთ მრავალი ხელის იარაღი, ტყვია და სხვა სამხედრო მასალა.

**პარიზი** 26 ივნისი. შუადღის ოფიციალური ცნობა მდ. სომმის ორივე ნაპირზე ღამემ მშვიდათ ჩაიარა არდეკურის მიდამოებში გუშინ ფრანგებმა დაატყვევეს 633 კაცი, მათგან 100 აფიცერია.

ვერდენის ასპარეზზე გერმანელები გამუდმებით უშენენ შატანკურის სეკტორს. კრასენჟენოს პოზიციებზე გერმანელებმა ორი მოულოდნელი იერიში მიიტანეს. ერთი რაზმი ფრანგთა სანგარში შეიჭრა, მაგრამ მაშინვე განდევნილ იქნა იქიდან ხელის ყუმბარების შემწეობით. მეორე რაზმი გაფანტულ იქნა, ვიდრე ფრანგთა პოზიციებს მიაღწევდა ვოგეზებზე, სენტმარის გასავლის სამხრეთით გერმანელებმა ზარბაზნის ძლიერი სროლის შემდეგ ფრანგთა საველე სიმაგრეებზე იერიში მიიტანეს, მაგრამ დამარცხდნენ. ჰარტმანსვეილერკოპფის ჩრდილოეთით სიუდალის მიდამოებში ფრიად მარდად მარჯვე ოპერაცია შეასრულეს ფრანგებმა და ხელთ იგდეს ტყვეთ 14 გერმანელი ერთი ტყვიის მფრქვეველითურთ.

**ლონდონი** 25 ივნისი. ინგლისის მთავარი ბინის ცნობა საფრანგეთიდან. დიდი წვიმები ბრძოლის წარმოებას ძლიერ აფერხებენ წარსული ღამე ინგლისელებმა ანკრის და სომმის შუა ახალ დაპყრობილ პოზიციების გამაგრებაში გაატარეს. როლანკურსა და ჰოჰენცოლერნის რედუტის ახლოს უშედეგოთ ნაღმები აафეთქეს. გერმანელების მიწის ქვეშა გასავლის დასანგრევად, გიულუხის ჩრდილო აღმოსავლეთით ინგლისელებმა ნაღმი ააფეთქეს. ინგლისელთა ჰაეროპლანებმა საფრენთა ბანაკს დაუშინეს და საფრენის საფარი დაანგრიეს. უკანასკნელ დღეში ინგლისელებს ხელთ უგდიათ: 20 ზარბაზანი, 51 ტყვიისმფრქვეველი, ბევრი ავტომატიური თოფი და სხვა საომარი მასალა.

**პარიზი.** 25 ივნისი მდ. სომმის ასპარეზე ცუდი ამინდი ბრძოლას აფერხებდა. საღამოთი ველუას ახლოს ფრანგებმა იერიში მიიტანეს და დაატყვევეს 350 კაცი ფრანგებმა ხელის ყუმბარების შემწეობით წინ წაიწიეს გერმანელების მიწის ქვეშა გასავალისაკენ და დაატყვევეს 50 კაცი. ლასინის ჩრდილოეთით გერმანელთა რაზმი სადარაჯოს ხელში ჩაგდებას ლამობდა, მაგრამ ფრანგებმა თოფის სროლით გაჰფანტეს

ვერდენის ჩრდილოეთ ასპარეზზე, 304-ს ენის, სუვილის და აგრეთვე დანლუს ბატარეის გარშემო მკაცრი საარტილერიო ბრძოლები სწარმოებს.. ქვეითა ჯარის ბრძოლა არა ყოფილა. ლოტარინგიაში ფრანგებმა ხელის ყუმბარებით გერმანელთა სადარაჯო გაანადგურეს ბეზანჯის ახლოს და რამდენიმე კაცი დაატყვევეს...

**ჰავრი** 25 ივნისი. ბელგიის ოფიციალური ცნობა. ბუსინგესა და სტეენსტრატეს მიდამოებში ბელგიელები კვლავ უშენდენ მარჯვედ გერმანელთა თავისაცავ სიმაგრეებს. გერმანელები სუსტად უპასუხებდენ. დიქსმიუდესთან საკმაოდ მკაცრი საარტილერიო ბრძოლა მოხდა

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრად სერ ედუარდი დაინიშნა.

როგორც ვიცით, სერ ედუარდს დიდი უსიამოვნება მოსდიოდა განსვენებულ კიტჩენერთან, სავალდებულო სამხედრო ბეგრის შემოღების გამო სერ ედუარდი სავალდებულო ბეგრის წინააღმდეგი იყო.

——

დასავლეთის ფრონტზე სოფ. „ომი“-ს დატოვების შემდეგ გერმანელები დაბა ლილისთან გამაგრდენ.

ლილისთან განუწყვეტელი საარტილერიო ბრძოლაა. ამ დაბის შენობები სულ ერთიანად გადაბუგულია.

——

გერმანელებმა სამხედრო საჭიროებისთვის კვლავ განაახლეს სპილენძეულობის რეკვიზიცია. საყდრებიდან ზარებს იღებენ სახლებს სპილენძის ხელსაკიდებს ხსნიან.

——

ოსმალ არაბთა უკანასკნელ შეტაკების დროს გამოირკვა, რომ ოსმალთ-არაბთა წინააღმდეგ რეგულიარული ჯარი მიუყვანიათ. არაბებს ინგლისის მთავრობისაგან მიღებული ტყვია-წამალი უკვე შემოლევიათ

——

სტოხოდთან მკაცრი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. მეომრები ამბობენ: ასეთი საზარელი და უსასტიკესი ბრძო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ომის დღიური.

— —

**ალმოსავლეთის ასპარეზი.** გენ. ბრუსილოვის ჯარი მდ. სტოხოდს უახლოვდება. ბარანოვიჩის აღმოსავლეთით მძაფრი ბრძოლები სწარმოებს, გერმანელებს მედგარი იერიშები მოაქვთ. სარნის-კოველის რკინის გზაზე რუსებს ორი სოფელი გულევიჩი და კაშევკა აუღიათ. სამხრეთ გალიციაში გენ. ლეჩიცკის ჯარი ძლიერი ბრძოლების შემდეგ გერმანელების მიერ დატოვებულ დელატინში შევიდა დელატინი – მნიშვნელოვანი პუნქტია. ბუკოვინაში კიმპოლუნგის დასავლეთით რუსებმა დაახევინეს ავსტრიელებს და ტყვეები წაართვეს.

**კავკასიის ასპარეზი**. ორ უკანასკნელ დღეს კარგა წარმატება უნახავს რუსის ჯარს. არზრუმის სამხრეთ დასავლეთით რუსებს მთელი რიგი სიმაგრეებისა ხელში ჩაუგდიათ, 800 კაცი დაუტყვევებიათ და ბევრი საომარი მასალა უგდიათ ხელთ.

**შავი ზღვა.** ოსმალთა წყალქვეშამ რუსების საჰოსპიტლო გემი „ვპერიოდი“ დალუპა.

**დასავლეთის ასპარეზი.** ინგლისელების მოქმედებას ხელს უშლიდა ძლიერი წვიმები. ახალ ზელანდიელებმა განდევნეს თხრილებში შემოჭრილი გერმანელები. ინგლისელებს თავის მარჯვენა ფრთაზე წარმატებაში ფრანგები დიდათ ეხმარებოდენ. დეტრინის ტყეში ინგლისელებმა იერიში მიიტანეს, ძლიერი საარტილერიო სროლის შემდეგ და ძლიერი საფარი ხელთ იგდეს. ვერდენის არემარეში გერმანელები გამუდმებით უშენენ ფრანგთა პოზიციებს და განსაკუთრების დაჟინებით 304-ის სიმაღლეს, ენს, სუვილს და ბატარეა დანლუს.

**იტალიის ასპარეზი.** ალაგ-ალაგ არტილერია მოქმედებს. ქვეითა ჯარის მონაწილეობა ბრძოლაში უმნიშვნელოა

ლა ჯერ ჩვენს ფრონტზე არ ყოფილაო.

— —

მინსკის გარშემო გერმანელები ახალ რედუტებს და ბლოკჰაუზებს აშენებენ.

დასავლეთის ნაწილში პატარა ერთ წყებიანი ციხე აუგიათ.

— —

ინგლისმა ამ ბოლო ხანს გერმანიის სანაპიროების ალყა მეტად გააძლიერა.

ლონდონში ყველა დარწმუნებულია, რომ ახლა გერმანია შიმშილობას თავს ვეღარ დააღწევსო.

— —

გერმანია—ამერიკის შორის მტრულ განწყობილებას ბოლო მოეღო და სრული მეგობრობა ჩამოვარდა. განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ვილჰელმა ვილსონს წერილი გაუგზავნა.

— —

შეთანხმების სახელ უკმაყოფილონი არიან რუმინიის პრემიერის ბრატიანუსი, რომელიც მუდამ ყოყმანშია და სამოქმედო ნაბიჯის გადასადგმელად უფრო შესაფერ მომენტს ელოდებაო.

— —

შეთანხსების პრესა ირწმუნება, რომ ბულგარეთში სახალხო აჯანყება მოხდებაო.

— —

ბულგარეთის მთავრობამ ვარნასთან დიდ ძალი ჯარი და არტილერია გააგზავნა. ვარნაში რუსთა ჯარის გადმოსხმას მოელიან.

საფრანგეთის პრესა ერთხმად აღნიშნავს, რომ ომის წარმოების ინიციატივა დღეს სავსებით ჩვენს ხელში გადმოვიდა. „უძლეველად“ აღსარებული გერმანია უკან დახევისა და თავდაცვის გზას დაადგაო.

— —

ვერდენთან დაიღუპა ფრანგების გამოჩენილი მფრინავი ჟოზეფ ფრანსუა.

— —

ათინაში მყოფმა ინგლისის დესპანმა საბერძნეთის მენავოსნეთა ამხანაგობას გაუცხადა, რომ შეთანხმების ფლოტმა საბერძნეთის სანაპიროებს ალყა მოხსნა და ნავოსნობისთვის გზები გახსნილიაო.

— —

საბერძნეთში შეთანხმების სახელმწიფოთა საწინააღმდეგო მოძრაობა კვლავ გრძელდება.

— —

შეთანხმების სახელმწიფოებმა ათინის მთავრობას მოსთხოვეს, რომ მან დღეიდან თავის მიწაწყალზე არ გაატაროს ბულგარლები. თუ უკანასკვნელნი ძალით შეიჭრებიან, იმ შემთხვევაში იარაღი აჰყაროს მათ.

— —

ბაზელში მოსული ცნობით, გერმალებს რუმინიისთვის ნეიტრალობის დაცვა მოუთხოვიათ, ხოლო საბერძნეთისთვის თავის მიწა-წყალზე ბულგართა ჯარის გატარება

— —

რუმინელი „ადევერული“ იუწყება; ოსმალეთის მთავრობა არაბთა აჯანყებას მალე ჩააქრობსო.

— —

ბაზელიდან იუწყებიან, გერმანელები ყოველ ადგილიდან წესიერად იხევენ უკანო.

— —

ელზასში დიდი ბრძოლებია. ფრანგებმა გერმანელები შეაჩერეს. დაიღუპა ფრანგების ერთი ჰაეროპლანი.

— —

მაკედონიის ფრონტზე წვრილმანი შეტაკებები ხდება.

— —

ვარდარის ნაპირებზე თოფის სროლაა.

— —

იტალიის პალატამ სამხედრო ბიუჯეტი მიიღო.

— —

ლონდონიდან იუწყებიან: ჩრდილოეთის ზღვაში გერმანელებს დაუღუპავთ ინგლისის 800 ტონ. წყალწყვიანი გემი „ტოანარი“.

— —

სერბიის ჯარის ნაწილები, რომელნიც მთებში იყვნენ შეხიზნული, ბარში ჩამოსულან და ავსტრიის მთავარსარდლისთვის მორჩილება გაუცხადებიათ.

— —

მთაშაველთა აჯანყება გრძელდება.

— —

დუნაის სანაპიროებზე ავსტრიელებმა ვეებერთელა ზარბაზნები დადგეს. დუნაით მოგზაურობა აკრძალულია.

— —

სპარსეთში რუსის ჯარი ქერმანშაჰის რაიონში გადავიდა და იქ მოქმედობს.

— —

იტალიელების ოპერაცია ალბანეთში სასურველად ვერ სწარმოებს.

— —

ინგლისის საახალშენო ჯარს გერმანიის აღმოსავლეთ აფრიკის სამფლობელოში ბუკიბუ და კარაბავა დაუპყრია.

— —

გერმანელებს კელნის უწესოებანი დიდი სიმკაცრით ჩაუქრიათ.

## სამხედრო მიმოხილვა

**ძველი გეგმა.**

რუსების მძლავრი შეტევა შუა გალიციაში კარგა ხანია სრულიად მიყუჩდა და ამ მხრით არაფერი საყურადღებო არა ხდება რა. სამაგიეროდ რუსებმა ფრთებით გააძლიერეს თავის მოქმედება. რაკი ძალუმად მოწოლილმა რუსის ჯარმა ვერ მოასწრო დროზედ შეჭრა გალიციაში და მის ცენტრის-გალიციის აღება, მთელი თავისი ძალღონე ფრთებისკენ მიმართა მთელი ბუკოვინა ნელის, მაგრამ უდრკელის წინსვლით დაიპყრო. და ამნაირად გალიციის ასპარეზი სამხრეთით ეხლა შემოვლილია.

ბუკოვინაში ეხლა უკვე რუსის ჯარი ტრანსილვანიის საზღვრებს არის მიმდგარი და სამხრეთ გალიციაში კი მას უპყრია დელიატინი, რომელიც სულ ოციოდე ვერსით არის დაშორებული კარპატის მთების ბოლოს. სამხრეთ გალიციაშიაც შორს არის შეჭრილი რუსის ჯარი და დღეს თუ არა ხვალ, იგი ზედ მოექცევა კარპატებს, ამ უნგრეთის ველის გადასახედავს.

როგორც სჩანს, გალიცია სამხრეთით ღრმად და მკვიდრად არის შემოვლილი.

რას აპირებენ რუსები?

ამას ცხად ჰყოფს გუშინდელი მთავარსარდლის შტაბის ცნობა. რუსებს, როგორც ეტყობათ, უძლევიათ გერმანელთა წინააღმდეგობა სტირსა და სტოხოდს შუა და ძალუმად მისწოლიან მათ. რუსის ჯარის მიზანი აქ კოველია, უკეთ რომ ვსთქვათ, მთელი კოველის მიმართულება.

ამ მხრივ რუსებს აზრად ჰქონიათ იმავე გალიციის შემოვლა მხოლოდ ჩრდილოეთით. რუსების შეტევის მიზანი იგივეა, რაც წინედ.

იყო და, მაშასადამე ეხლაც ჰფიქრობენ გაებათილონ ავსტრიელთა წინააღმდეგობა ტარნოპოლ—რაძივილოვის პოზიციებისა რომელნიც ლვოვის მიმართულებას იცავენ და გალიციის ბრძოლის პირის ორივე მხრით შემოვლით ხელში ჩაგდებას ეშურებიან.

გეგმა მეტად მარტივია, მაგრამ ამას შეიძლება მოყვეს გერმანელთა ძლიერი მოქმედება პოლესიეს ჩრდილოეთით, რაც ერთობ გაართულებს მდგომარეობას, ვინაიდან, როგორც ეს რუსულ გაზეთების წყალობით ვიცით გერმანელთა სიმაგრეჩრდილოეთით არ წაავავს ასეთსავე ავსტრიელებისას და თავდაცვის ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებათ ითვლებიან. თუ აქ რუსები გერმანელებს შეტევითვე უპასუხებენ, მათი ბრძოლის ხაზის გარღვევა არ იქნება ისე ადვილი, როგორც ავსტრიელთა ბრძოლის ხაზის გარღვევა იყო ადვილი.

შვერელი

**ქუთაისი, 29 ივნისი.**

|გვეხსენით!| ქართველ საზოგადოებას სანუგეშო გამოფხიზლება დაეტყო!

მართალია, ჯერ ვერ გავცილებულვართ ჯგუფურ კოწიაწს, მაგრამ ქართველი ერის წიაღში დიდი შემოქმედებითი ძალა ტრიალებს, აქეთ-იქით ეხეთქება და—ჩვენ ეს ღრმად გვწამს—მალეც ჩამოყალიბდება ნამდვილ ქართველურ სულისკვეთებად.

ზრუნვა აჭარლებზე, ფიქრი და ოცნება ლაზისტანზე, არსებულ პარტიებისა და მათი მოქმედების კრიტიკა ეროვნული თვალსაზრისით, ძველი თუ ახალი მოღვაწეთა ნამუშევრის შეფასება, ეროვნული ქონება-საუნჯის შენარჩუნება, სხვა და სხვა სარწმუნოების ქართველების შეჯგუფება-შეერთება, სომეხთა საკითხი ჩვენში, ქართველ ისრაელთა შენაწევრება-დამოყვრება, ქართველებისა და კავკასიის სხვა ტომის მუსულმანთა ურთიერთობა და სხვა და სხვა ამისთანა დიდ მნიშვნელოვანი მომენტები საქართველოს ცხოვრებაში—ნათლად ჰმოწმობენ, რომ ქართველი ხალხი გამოერკვა საერთო ბურუსიდან, საერთო გატაცებიდან და სურს დაადგეს თვითშეგნებისა და თვით გამორკვევის გზას.

ეს გზა კი ერთადერთი გზაა, რომელიც საქართველოს შესძლევნის ყოველივე საშუალებას, რომ იგი ისეთივე თავისუფალი, ღირსეული და პატივცემული წევრი გახდეს კაცობრიობისა, როგორიც იყო იგი დღიდან თავისის გაჩენისა მეცხრამეტე საკუნემდე!..

ქართველი ხალხი, დიდი თუ პატარა, მუშა თუ გლეხი, მოითხოვს თავის ხელმძღვანელებისაგან გარკვეულ აზრს ამა თუ იმ საგანზე, მოითხოვს მეტ საქმეს და ნაკლებ სიტყვას, მოითხოვს მეტს შრომას და ნაკლებ მცონარობას, მოითხოვს მეტს ყურადღებას ქვეყნისადმი და ნაკლებ თავდავიწყებას პარტიებისაგან.

ამას ნათლადა გრძნობს ყველა ჩვენთაგანი და, ვინც კი დაბრმავებული არ არის ჯგუფურის ფანატიკოსობით, ვინც თავის თავზე და თავის პირადობაზე მაღლა აყენებს საერთო, საძმო, საქვეყნო საქმეს, ის სცდილობს კიდეც საზღვარი დაუდვას კერძოობას და ჯგუფური თავმოყვარეობა შესწიროს საქართველოს კეთილდღეობას...

დემოკრატობა, ხალხოსნობა, შეერთებული მოქმედება მშობლიურ ნიადაგზე, „ქვეყანა და ქვეყნის საქმე!“ აი, ის გულისთქმა ყველა პატიოსანი ქართველისა, რომელიც უხილავად დასტრიალებს ჩვენს სამშობლოს ϖ რომელიც მოითხოვს,—აუცილებლად მოითხოვს,—განსახიერებას, განხორციელებას.

ეს სურვილი, ეს გულისთქმა აქამდისაც დასტრიალებდა თავს საქართველოს მაგრამ სურვილი იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო მწიგნობრული, უფრო სადავო და საჩხუბარი იყო.

რამდენიმე თაობა შეიწირა ამ მწიგნობრულმა დავამ. ახლა კი სიტყვა საქმეს თხოულობს, ვინაიდგან ლამაზლამაზმა სიტყვებმა ვერ განკურნეს საქართველო იმ ხორციელ უძლურებისაგან, რომელსაც დღევანდლამდე განიცდის ჩვენი ქვეყანა..

## იძულებითი განმარტება *)

(ქართველ ისრაელების*) საყურადღებოდ.

*) **რედაქციისაგან.** არ შეგვიძლია ორიოდე სიტყვა არ წაუმძღვაროთ ამ წერილს.

თუ გადაჭარბებულად არავინ ჩამოგვართმევს, პირველად ჩვენმა რედაქციამ გაუხსნა ფართედ კარები ქართველ-ისრაელთა მწერლებს და უოველთვის სცდილობდა საშუალება მიეცა მათთვის თავისი აზრის გამოთქმისა, თუმცა, როგორც ეს პირველშივე აღვნიშნეთ, თვით რედაქცია ხშირად არ იზიარებდა ამ მწერლობის ზოგიერთ დებულებას.

ჩვენ ასე ვფიქრობდით პირველშივე და ასეთი აზრისა ვართ დღესაც, რომ **ქართველ—ისრაელებს**. გამოფხიზლება განვითარება სჭირათ: თავისი ხელმოკლეობისა, თუ ჩამორჩენის მეოხებით მათ დღევანდლამდე საშუალება არ ჰქონდათ—და არც საკმაოდ მომზადებული კაცები ჰყავდათ, რომ ქართველ-ისრაელთა მასსა გამოეფხიზლებინათ და სწორ გზაზე დაეყენებინათ.

გამოჩნდა თავის ხალხის უზომოდ მოყვარული რაბინი ბააზოვი, რომელმაც რამდენიმე ვრცელი წერილით მიმართა თავის თანამოძმებს და პირველმა ამცნო მათ **ქართულ ენაზე** გულის ტკივილი ებრაელობისა. ამ წერილებს მოჰყვა წერილები სხვა ქართველ-ისრაელებისა და გაჩაღდა აზრთა ერთ გვარი გაცვლა-გამოცვლა, რამაც აახმაურა და ჩააფიქრა საქართველოს ისრაელობა.

ეჭვი არ არის, რომ ყველა ერსა და ყველა ხალხში დიდი და პატარა ერთ გვარად არა ფიქრობს. პირველი საქმე ის არის, რომ ამა თუ იმ ხალხში დაგუბებული გრძნობანი გამომჟღავნდეს, ხალხმა მოისურვოს გზის დანახვა, გამოფხიზლება, სასიცოცხლო გზაზე დადგომა. სხვა ყველაფერი თავისთავად მოწყ რიგდება და დადგება ისეთი ბედნიერი დღე, როცა ერი, ხალხი იტყვის თავის უკანასკნელ სიტყვას.

**ქართველ ისრაელებსაც** სჭიროდათ ხმის ამოღება და პირველად დაილაპარაკა კიდეც ბ-ნ ბააზოვს პირით. ამაშია დიდი ღვაწლი ბ-ნ ბააზოვის. დღეს მისი ნათქვამი არ მოსწონს მეორე ჯგუფს ქართველ ისრაელებისას. ეს ასეც უნდა მომხდარიყო და ჩვენ არც გვინდა ვექილად დაუდგეთ ბ-ნ ბააზოვს, იგი ალბად თითონ გასცემს პასუხს. ჩვენ მოხარული ვართ მხოლოდ, რომ ქართველმა ისრაელობამ გაიღვიძა და სცდილობს გამოარკვიოს თავისი ვინაობა, რაობა და იდეალი. ეს იყო ჩვენი მიზანი' როცა ჩვენი გაზეთის ფურცლები გადავუშალეთ ქართველ ისრაელ მწერლებს და მიზანი ჩვენი უკვე მიღწეულია.

დღეის შემდგაც გვიგულონ მათ თავის ერთგულ მეგობრად, ვინაიდგან ქართველი ისრაელები ჩვენ ისევე გვიყვარს, როგორც სხვა ღვიძლი შვილები საქართველოსი და ისევე ერთგულადაც ვემსახურებით მათ ხალხოსნურ საქმეს, როგორც ჩვენ საკუთარ თავს სამაგიეროს გადახდა დამოკიდებულია თვით ქართველ-ისრაელებისაგან.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ იგინი (ქართველი ისრაელები) ვერასოდეს ვერ დაივიწყებენ საქართველოს ამაგსა და მშობლიურ მოპყრობას და ვერც მოშორდებიან მას, როგორც თავის ღვიძლ დედას. აზრთა სხვა და სხვაობა კი უფრო ხათელს ჰყოფს ჭეშმარიტებას და შექმნის უძლეველს ერთობას მრავალ ტანჯულ საქართველოს შვილთა შორის, რა სჯულისაც უნდა იყვნენ იგინი.

ამ რწმენით ვბეჭდავთ ახალგაზრდა განათლებულ ქართველ ისრაელის ბ-ს თ. ხ—შვილს წერილსაც, თუმცა პატივცემულ რაბინ ბააზოვის დაფასებაში ცოტა არ ვეთანხმებით.

რედ

— —

სულ ცოტა ხანია მას აქეთ, რაც ქართულ პრესაში ხშირად შეხვდებით ხოლმე წერილებს და მიმოხილვებს ისრაელ ქართველებზე და მათ წარსულ მომავალზე. მართალი რომ მოგახსენოთ, მე კარგა ხანს ვიკავე თავი, რათა არ გამოვხმაურებოდი ამ საკითხს, რადგანაც ჩვენი ისრაელების საკითხის გადასაწყვეტათ მხოლოდ ერთად-ერთი მისაღები წამალი არსებობს.

მაგრამ უკანასკნელად იძულებული შევიქენი, ვინაიდგან ისეთი მოამაგენი გამოგვიჩნდნენ, რომელნიც მხოლოდ დათვის სამსახურს თუ გვიწევენ, თორემ, ჯერჯერობით, მაენებლობისა და არევ-დარევის მეტი არასფერი არ დაუთესნია ჩვენში ასეთ მოამაგეე'ის მოღვაწეობას. ამაში მე მხოლოდ მაშინ დავრწმუნდი, როდესაც ქუთაისში ჩამოვედი და დავუკვირდი ისრაელ-ქართველების ცხოვრებას. მანამდის კი ამ გაცნობის და დაკვირვების საშუალებას სრულიად მოკლებული ვიყავი, ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო

ამ ჩვენს მოამაგეთა შორის პირველი ადგილი უსათუოდ ორის რაბინს, ბატონ ბააზოვს ეკუთვნის. მეც შევუდგები მისი ტიპიური წერილის გარჩევას, რათა ნათლივჰყო მისი და იმის თანამოაზრეების ზრახვანი

თუ გადავხედავთ ბ-ნ ბააზოვის წერილების უმრავლესობას, ყოველ დაკვირებულ მკითხველს ერთი რამ უცნაური გვეცემა თვალებში, სახელდობრ ის, რომ ერთი წერილის დედა აზრი სავსებ თ ეწინააღმდეგება მეორისას. ერთში ის გვიქადაგებს, რომ ჩვენ ისრაელ-ქართველებმა სხვა ქართველებთან ერთად უნდა ხელ ჩაკიდებულნი ვიაროთ, მათთან ვიცოცხლოთ და მათთანვე მოვკვდეთ; მეორეში კი გვეუბნება, რომ ქართველ „ებრაელებმა“ უთუოდ განსაკუთრებული წრე უნდა შევადგინოთ, რომლის მიზანიც იქნება ჩვენში ებრაული კულტურის გავრცელება, ებრაული ენის, ებრაული ისტორიის შესწავლა და სხვა. მაგალითების მოყვანა ამის დასამტკიცებლად ზედმეტად მიმაჩნია და ვისაც სურს ჩემი სიტყვების ჭეშმარიტებაში დარწმუნდეს, ვთხოვ გადიკითხოს ბააზოვის წერილები გაზ. „სამშობლოს“ 1915 და 1916 წლების ნომრებში

სულ ერთი თვე არ იქნება მას აქეთ, რაც ბ-მა ბააზოვმა გაზ. „საქართველოში“ მოათავსა წერილები, სადაც ის ადარებს ჩვენს მოამაგე ძვირფას იროდიონ ევდოშვილს შალომ ალეიხემ რაბინოვიჩს. რა მიზნისათვის ჰქენით ეს ბ-ნო რაბინო? ვინ შალომ ელეინემი და ვინ ისრაელი ქართველი? რა გვაქვს ჩვენ შალ. ალეიხემის მოღვაწეობასთან საერთო? შეიძლება ჟარგონული ენა, ან ისტორია, ან ზნე, ან ჩვეულება და ან კიდევ სხვა რამე? მიპასუხეთ ამაზედ ღვთის გულისათვის!. მე არ ვეჭვობ, რომ შალომ ალეიხემი ზედმიწევნით აშუქებდა რუსის ებრაელების ცხოვრებას, მაგრამ ისრაელი ქართველისთვის აშქენაზური ენა ხომ ჩინური ანბანი არის? როდის დაგავალათ თქვენ ისრაელ ქართველებმა, რომ ჩვენის სახელით სარგებლობთ და კისერზედ გვახვევთ ჩვენთვის უცხო მწერალს? ან ვინ მოგანდოთ თქვენ ბ-ნო ბააზოვო ჩვენი პოლიტიკურათ გათვითცნობიერების საქმე? თქვენი ამ დარგში მოღვაწეობა, როგორც სასულიერო წოდების პირის სრულებითაც არ არის სასარგებლო. თქვენ სრული უფლებაცა გაქვთ, და მოვალეცა ბრძანდებით, ჩვენში მოსეს სჯული მტკიცედ დაიცვათ და ჩვენი სულიერი და სარწმუნოებრივი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოთ და არა პოლიტიკური პროპაგანდა გასწიოთ, თორემ მე გამიგონია ბრძნული ანდაზა, რომ “ორი კურდღლის მიმდევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო“. მე ვშიშომ, რომ თქვენც სწორეთ ასე გემართებათ.

მაგრამ წავიდეთ წინ პატივცემულო მკითხველო. მახსოვს ერთი რიგი წერილებისა გაზ. „სახალხო ფურცელში“, საცა ბ-ნი ბააზოვი მოგვიწოდებს ქართველებს, გამოჩენილი ებრაელი მწერლების ნაწარმოებნი ქართულად გვეთარგმნა და ჩვენი სასიქადულო მამულიშვილნი შოთა, აკაკი, ილია და სხვანი კი ებრაულ ენასედ. ნება მიბოძეთ ბ-ნო რაბინო ამაზედ ორი რამ გკითხოთ:

1. რომელ ებრაელებსა გსურთ გააცნოთ თქვენ შოთა, ილია, აკაკი და სხვანი?

2. რომელი ებრაელების სახელით გამოსთქვამთ თქვენ მაგ აზრს.

თუ თქვენს მიზანს შეადგენს ისრაელ ქართველებისთვის ზრუნვა და მათთვისა გსურთ თარგმანთა ასეთი გაცვლა გამოცვლა, მაშინ მოგახსენებთ, რომ თქვენ ისეთი შრომა მოგივათ როგორც კრილოვის ერთს გმირთაგანს მოუვიდა, რომელ

*) სიტყვა „ისრაელ“-ს მე აქ განზრახ ვხმარობ, რადგანაც ეს სიტყვა გამოხატავს მხოლოთ ჩვენს სარწმუნოებას და არა ეროვნებას. ჩემი ღრმა რწმენა კი არის, რომ ჩვენ, ქართველთა შორის მოსეს რჯულის მიმდევარნი, მართლაც, მხოლოდ ისრაელები ვართ, და არა ებრაელები, რასაც ჩვენ შეცდომით გვიწოდებენ და რომელი სიტყვაც (ებრაელი) ეროვნების გამომხატველი ტერმანია ამიტომ ზედმეტი არ იქნება, რომ შემდეგში ჩვენზე იხმარებოდეს ქართველი ისრაელი და არა ქართველი ებრაელი.

ავტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძლურ სხეულში ძლიერი სული ისე-თივე არაბუნებრივი მოვლენაა, როგორც ძლიერ სხეულში უძლური სული, ბუნე-ბა კი მოითხოვს ძლიერ სულს ძლიერ სხეულში და აი, საქართველოც სცდილობს გაჯანსაღდეს სხეულით, გაძლიერდეს სუ-ლით.

ეს შეგნება დასაწყისია უკეთესის მერ-მისისა...

ამ შეგნებამდე ქართველი ხალხი მოი ყვანა იმ ბრძოლამ, რომელიც მან გამო იარა მეცხრამეტე საუკუნიდან დაწყებუ ლი დღევანდლამდე. ამ ბრძოლას უკანას კნელ ხანებში ხელმძღვანელობდა ორი ცნობილი დასი.

ერთი ინტერნაციონალური მიმართუ ლებისა,

მეორე ნაციონალური მიმართულე ბისა.

ეს მეორე მიმართულება გაიყო ორ შტოდ.

ერთმა შტომ აღიარა სამსახური ნაციო-ნალიზმისაცა და სოციალიზმისაც ერთსა და იმავე დროს, მეორე შტო კი დადგა წმი-ნდა ეროვნულ ნიადაგზე. სოციალიზმი-სთვის ბრძოლა ჯერჯერობით სხვას დაუ თმო ვინაიდგან სოციალისტური, და უფრო წმინდა წყლის სოციალისტური ჯგუფი, ჩვენ უკვე გვყავდა — ჩვენი დასელები

მაშასადამე, „ეროვნულ-სოციალისტუ-რი ჯგუფი“ ან ზედ მეტი უნდა ყოფი-ლიყო და ან ხელის შემშლელი ნამდვი-ლი სოციალისტური ჯგუფისაც და ნამდვი ლი ეროვნული ჯგუფისაც. და...

ეს ასეც მოხდა!

ეგრედ წოდებულნი ჩვენი ფედერალის-ტები დღეს ამ ორ ჯგუფ შორის გაჩხი-რულან და გასაქანი აღარა აქვთ:

თუ „მარჯვნივ“ გაიწიეს ეროვნულ — დემოკრატებს უნდა შეუერთდენ, თუ „მარცხნივ“ და — დასელებს. სხვა გზა არა აქვთ!

აი, ამას ვამბობთ ჩვენ და ლოღიკურის აუცილებლობით ვუმტკიცებთ, რომ ასე თუ ისე, ჩვენს ფედერალისტებს ერთერთ სკამიდან ჩამობრძანება მოუხდებათ.

ისინი კი ჯავრობენ და თავის მტრად გვთვლიან!

ვარწმუნებთ ჩვენს ფედერალისტებს, ჩვენ მათთან სამტრო არა გვაქვს რა.

ჩვენ მხოლოდ ვამბობთ იმას, რაც აუ-ცილებელია და აქ გასაჯავრებელი რა არის?

წარმოიდგინეთ, რომ ერთს მშვენიერ დღეს (და ჩვენ ღრმათა ვართ დარწმუნე ბული, რომ ეს დღე ძლიერ მალე დადგე ბა) ჩვენებურმა დასელებმა მიიღეს ლოზუნ-გი „ტერიტორიალური “ და საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიად გადაიქცენ.

რაღა არსებითი გარჩევა იქნება მაშინ ესდეკებსა და სანფარებს შორის?

ბევრი აღარაფერი!

მაშასადამე, ესფერები ძალაუნებურად უნდა გადავიდენ დასელებთან, ვინაიდგან ხალხს დღესაც დასელების სოციალისტო-ბა უფრო სწამთ, ვიდრე ფედერალისტებისა, და მაშინ ხომ რაღა იქნება?..

ეჭვი არ არის, რომ ჩვენი ფედერალის-ტები არ იკადრებენ ჩვენთან მოსვლას, რადგანაც ჩვენ არა ვქადაგებთ სოცია ლიზმს და, აბა, ჩვენისთანა „ჩამორჩენილ“ ჯგუფთან რა ხელი აქვთ?, ხოლო თუ იკადრეს და მოვიდენ, მაშინ თავის ფე დერალისტობაზე ხელიც უნდა აიღონ.

ამ გვარად, საქართველოში დარჩება ორი ჯგუფი და, რაც მალე მოხდება ეს, მით უფრო კარგი იქნება საქართველოსა თვის, ქართველი ხალხისათვის.

აი, რა გვწამს ჩვენ და, თუ ერთ-ერთ ზედმეტ პარტიას გაქრობა მოელის, ამას ნურავინ ნურც მტრობად ჩამოგვართმევს და ნურც მოყვრობათ...

შეიძლება, ჩვენა ვსცდებით და უმართე-ბულოდ ვმსჯელობთ.

ამ შემთხვევაში აგვიხსენით, დაგვანახ ვეთ ჩვენი შეცდომა და ჩვენც დავემორ-ჩილებით ჩვენს ბედს, ვინაიდგან საქართ ველოს ჯგუფთა შორის კინკლაობისა-თვის აღარ სცალია, მას ეჭირვება რეა-ლური ძალა

ამას მოითხოვს ქართველ ხალხის წიაღ-ში არსებული შემოქმედების განხორციე ლება.

და ვისაც უყვარს თავისი ქვეყანა, თვი-თონაც რომ არ უნდოდეს და ბევრიც რომ ამხნეონ ერთმანეთი „ზვიადთა და სახალხოთ“, ეს შემოქმედება ძალათი მოა-ხრევინებს ქედს.

## ქართული პრესა.

ბ-ნ ნ. ნიკოლაძის პასუხმა „ჩვენი მე-გობრისადმი“ ყუმბარასავით იფეთქა და ჩვენი საზოგადოება ორ ბანაკად გაჰყო. ერთი ბანაკი - დიდი უმრავლესობა — ასე ვსთქვათ სად მკითხველის თვალ საზრისზე დადგა და ბ-ნ ნიკოლაძის პასუხი მიაჩნია ნამდვილ დოსტაქრობად იმ იარისა, რო-მელი იარაც შეგვძლენა ჩვენ ჯგუფურმა თავდავიწყებამ და რომელ იარასაც აუცი-ლებელი გამორწყვა სჭირია, თუ გვინდა რომ საქართველოს ორგანიზმი სამუდამოდ არ მოიშხამოს.

მეორე ბანაკი — უმცირე-ობა — მტრუ-ლად შეხვდა ბ ნ ნიკოლაძის პასუხს და ამ წერილში „ინსინუაციებისა და უტი-ფრობის“ მეტს ვერაფერს ხედავს. ეს ჯგუფი იმდენად არის აღელვებული, რომ ნ. ნიკოლაძის წერილის დედა აზრი ვერც კი გიუგია და თავშეუკავებელის სიბრა-ზითა სწერს:

ჩვენ პირდაპირ გვაოცებს, რომ ნამდვი-ლი პასუხის ნაცვლად ნ. ნიკოლაძე არ თა-კილობს და „სამშობლოს“ რედაქციაც ვერა გრძნობს რომ, „ისტორიით“ პასუ ხი აღარავისათვის არ არის საინტერესო („სამშობლოს“ რედაქცია ძალიან კარგათ გრძნობდა, როცა ამ წერილს ბეჭდავდა, რომ „სახალხოელებს“ თავზარი დაეცე-მოდათ მეტი.)

ვინაიდგან ზდანოვიჩის ისტორიის შე-თხზვაში ნ. ნიკოლაძეს მიუდგომლობას და მამულის სიყვარულს ვერ მოვსთხოვთ.

ასეთი ხასიათის პასუხით არ შეიძლება არ შეძრწუნდეს რიგიანი მოაზრე და არ განაცხადოს: ნიკოლაძის პასუხი ჭორითა და ღვარძლიანი ტენდენციით არის აღსავ სე. უეჭველია, ბ. ნიკოლაძე მოთმინება და კარგული იყო, როდესაც ამასა სწერდა, წინააღმდეგ შემთხვევაში როგორ შეიძლე ბა არ გახსენებოდა ბ ნ ნიკოლაძეს, რომ ქალაქი ფოთი ნიკოლაძისავე „დაუღალავი შრომით“ უცხო ძალით, უცხო კაპიტა ლით არის დავალიანებული, რომ ქალაქ ფოთს რუსეთის ყველა ქალაქზე მეტი შედარებითი ვალიადევს, რომ ნავთსა დგურის ასაშენებლადაც თვით ნიკოლაძეს ხაზინის და უცხო ძალების საშუალება აქვს გამოყენებული, მაშასადამე, ნიკოლაძესაც იმ-დენივე და ისეთივე ბრალი მიუძღვის, რო-გორსაც იგი გ. ზდანოვიჩს ახვევს თავს სრულიად უმართებულოდ.

ეროვნული მრეწველობა დასცა ზდანო-ვიჩის მოღვაწეობამო! მაგრამ გვიპასუხოს ბ ნმა ნიკოლაძემ — რა მიზეზია ტყვარ ჩელის უამრავი სიმდიდრე რომ დღემდე გამოუყენებელია? ეროვნული მრეწველობა იქ რად არ გაიფურჩქნა? მაგრამ, ეჰ, რა უნდა ველაპარაკოთ ასეთ ტენდენციურად მოაზროვნე ადამიანს! ან კიდევ: ქუთაისში წყალსადენისა და ტრამვაისათვის ქუთაისის ქალაქის თვითმართველობამ უცხო კაპი ტალის ძალას მიმართა, მაშ იგი თვითმა-რთველობა უნდა დაისაჯოს? მთელი რუსე-თის მრეწველობა გერმანული კაპიტალით არის აღორძინებული — მაშ უნდა მოვსპოთ რუსის მოღვაწენი? — ნუ თუ აშკარა არ არის, რომ ასეთი მსჯელობა დღეს ბიჭებსაც აღარ შეეფერება.

მკითხველი დაგვეთანხმება რომ, „სახალ-ხო ფურცელი“ თვით ვერ იქცევა სამა-რთლიანად და ტყვილად ამტვრევს სხვას თავზე კაკალს. ჩამოთვლა იმისი, თუ ვის რა შეცდომა მოსვლია, სრულიადაც არ ამართლებს ნ. ნიკოლაძის მოწინააღმდე-გეთ. მის მიერ ბრალდება ნათლად არის წამოყენებული და საჭირო იყო ამის უარის მყოფელი ნამდვილი საბუთი, და არა აქეთ იქით სიბრაზით მიწყვეტ-მოწყვეტა...

ჯერ კიდევ ვნახოთ, რა იქნება!...

## დეპეშა.

(თბ. საკუთარ კორესპონდენტისაგან.)

ბათუმელებმა დეპუტაცია გამოგზავნეს თბილისში, რათა სთხოვონ თბილისისა და ქუთაისის თავად-აზნაურობას, რომ ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოსთან ერთად შეისყიდონ ჭიათურის ის მა-დაროები, რომელნიც წინად გერმანელებს ეკუთვნოდათ და რომელიც ახლა უმაღ-ლესი მთავრობის განკარგულებით იყი-დება.

## ახალი ამბავი.

### ქუთაისი.

დღეს, სალამოს 8 საათზე, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში დანიშნუ-ლია ქუთაისის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს მრიგი კრება, რომელზეც, სხვათა შორის, განხილულ იქნება „სამკურნა-ლო მცენარეულობის“ მოგროვების საკით-ხი.

ბათუმის ბირჟის საზოგადოებამ საზოგა-დო კრებაზე 19 ივნისს გადასწყვიტა ბა-თუმში რვაკლასიანი კომერციული სასწავ-ლებელი გახსნას. ამის გამო ქუთაისიდან მოითხოვეს სხვადასხვა ცნობა.

✦ ყ-დ სამღვდელო გიორგი, ეპისკო-პოსი იმერეთისა, ამ დღეებში წაბძანდება გელათის მონასტერში, სადაც რამდენსამე დღეს დარჩება.

✦ ქუთაისის ხელოსანთა შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობას ამ დღეებში მო-უვიდა ორი ვაგონი შაქარი. დანარჩენ საც საჩქაროთ მოელიან.

✦ ქუთაისის მეპურეების თვითნებო-ბას საზღვარი არ უჩანს. მიუხედავათ იმი-სა, რომ ფქვილი ქუთაისში ამ ჟამათ სა კმაოა, საყოფ პურს მაინც არ აცხობენ. საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ვისიც ჯერ არს.

✦ ქუთაისში ამ დღეებში ჩამოვიდა რამოდენიმე პოლონელი ექსკურსანტი ექსკურანტებმა ნანგრევები და ისტორი-ულ-არქეოლოგიური ნაშთები დაათვალი-ერეს.

✦ 18 ივნისს, სოფელ შხეფში შემდე-გი უბედურება მომხდარა: გლეხ სახოკიას თავისი 13 წლის ქალი კამეჩების მოსარე-კათ გაუგზავნია. გზაზე ქალს ავი-ზნე და-მართია, გადავარდნილა წყალში და და-მხრჩვალა.

✦ დაჭრა. სამსონ ხურციძემ წაიყვანა ვასილ შაკიკიანი ძველი რიონის ქუჩაზე მოპარული ნივთების სანახავათ, როცა სა-საფლაოს მიუახლოვდენ, სამსონმა გადააგ-დო თხრილში და დანით მძიმეთ დასჭრა მარცხენა გვერდში შაკიკიანი. თვით მი მიიმალა.

✦ მკვლელობა. 18 ივნისს, ურაგში ძმები ნესტორი და ალექსანდრე საქონლებს მწყესობდენ. ნესტორს (13 წლის) თან ქონდა ფილთა თოფი გატენილი, მას უეცრათ გაუვარდა თოფი და მოკლა უნ ცროსი ძმა ალექსანდრე (9 წლისა)

✦ სოფელ სხვაში ამ დღეებში დავით, ლევან, გიორგი და სხ. კაციტაძეები მი-უხტენ ოქრუა არჩვაძეს და დაუნგრიეს ხის შენობა, ახლათ აშენებული სადაო გზაზე, შემდეგ შეუცვივდენ მას სახლში და დიდი ზიანი მიაყენეს. დიმნაშავენი დაუპატიმრებიათ.

✦ 17 ამ თვეს ბანძისკენ მიმავალ მე-ურმეებს დახვდენ გზაზე ყაჩაღები და რაც რამ ებადაც სრულიად წაურთმევიათ, წა-უღიათ ორი ვერცხლის ქამარი ღირებუ-ლი 40 მანეთად, ბაშლაყი — 8 მანეთად და სხვა. ყაჩაღებს წაუღიათ აგრეთვე 10 ტომარა დაფნა 10 ფუთიანი თითო. სულ 365 მან. ღირებული. საქონელი ყოფილა ურია მიხეილ აჯიაშვილის.

✦ გუბერნატორის თანდასწრებით, 27 ივნისს, სალამოს 9 საათზე, მოხდა სხდო-მა, რომელსაც დაესწრენ: ქალაქის თავი, ბანკებისა და ვაჭართა წარმომადგენელნი.

გუბერნატორმა მოაგონა ვაჭრებს ხალხის დღევანდელი მდგომარეობა და გა-მოუცხადა მათ, ნუ შეავიწროებენ ისედაც შევიწროებულ ხალხს საქონლის გაძვი-რებით, დაავალა მათ მიიღონ ზომები ფა-სების დასაკლებათ, თორემ ის იძულებუ-ლი იქნება ძალაში მოიყვანოს სამინისტ-როდან ბოძებული უფლება და დასაჯოს დაპატიმრებითა და დაჯარიმებით ის ვა-ჭარი, რომელიც საქონელს მეტ ფასებში გაყიდის.

✦ 27 ამ თვეს დილის მატარებლით თბილისიდან ქუთაისში ჩამოვიდა ქუთაი სის ვიცეგუბერნატორი.

✦ მეეტლეების თავვასულობას საზღვა რი არ უჩანს ისინი სარგებლობენ შემთ-ხვევით, რომ ქუთაისში მეეტლეები ძლი-ერ ცოტანი არიან და ორჯერ მეტს ახ-დევინებენ მუშტრებს.

✦ მოკვლის განზრახვა. 19 ამა თვეს სოფელ გომის მცხოვრებმა გლეხმა ივანე კელიპტარმა ფარულათ ესროლა რევოლ-ვერი და სასიკვდილოთ დასჭრა გვერდ ში იმავე სოფლის მცხოვრები ევტიხი მახარაძე. მიზეზად ადგილზე ატეხილ უკ მაყოფილებას ასახელებენ.

### დ. მეელი სენაკი.

კვირას, 26 ივნისს, აქაურ სათავად-აზნაურო სკოლის შენობაში სახალხო უნივერსიტეტის ლექტორ-თანამშრომელმა ბ-ნმა ალ. ალ. გარსევანიშვილმა წაიკითხა ლექცია საქართველოს ახლო წარსული-დან: „მეფე ერეკლე მეორე და მისი კანც-ლერის სოლომონ ლეონიძის როლი საქართველოს მეფობრივ ცხოვრებაში“.

ლექტორმა მშვენიერი და ყველასათ-ვის გასაგებ ენით დაუსურათა დამსწრე საზოგადოებას სოლომონის დროინდელ საქართველოს სახე.

ლექტორმა სოლომონ ლეონიძის მო ღვაწეობა ორ ნაწილად გაჰყო: აღმოსავ სავლეთ საქართველოში და დასავლეთ საქართველოში იმერეთის უკანასკნელ მე-ფე სოლომონთან.

ლექციას დიდძალი საზოგადოება დაე-სწრო ბ. ალ. ალ. გარსევანიშვილი მხურ ვალე ტაშის ცემით დააჯილდოვეს და მრავალი ცოცხალი ყვავილები მიართვეს. კარგი იქნება ამ საყურადღებო ისტორი-ულ ლექციას ბატ. ალ ალ. გარსევანი შვილი ჩვენს სხვა დაბა-სოფლებშიც გაი-მეორებდეს; რადგან ეს ლექცია ჩვენის წარსულის არ მცნობ ხალხს სათანადო სარგებლობას მოუტანს.

## ღია ბარათი

**დიდად პატივცემულ ქართველ მო-ღვაწეებს ბ.ბ-ნ გრიგოლ ივანეს ძე გველესიანს, ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისას და ქართველ მგოსნებს იოსებ გრიშაშვილს და გეგლარ ახოსპირელს.**

მოგეხსენებათ, ბატონებო, რომ ჟამთა ვითარებამ ბევრი შავი და ბნელი დღე გაუთენა საქართველოს. სპარსეთისა და ოსმალეთის დევნამ და მათმა ძლიერმა მახვილმა არა ერთხელ და ორხელ გაანა-დგურა საქართველო და ქართველი ხალ ხი უმწეო მდგომარეობაში ჩააყენა.

მოგეხსენებათ აგრეთვე, ბატონებო, რომ სპარსელ-ოსმალოთა ცდა იყო: თუ სავსებით ვერ დაიმორჩილებდენ საქართვე-ლოს, მოესპოთ მაინც აქ ეგრედ წოდე ბული მართლმადიდებლობა, რომ საქართვე-ლოს რუსეთი აზიაში არ შემოეშვა. ამი-ტომ, როცა და სადაც კი მოახერხებდენ ხოლმე, მუსრს ავლებდენ მართლმადიდე-ბელ ქართველებს.

მოგეხსენებათ ისიც, ბატონებო, რომ სპარსეთ-ოსმალეთა ბატონობის დროს სა-ქართველოში სხვა ყოველ გვარი სარწმუ ნოება შეწყნარებული იყო ხოლმე, გარდა მართლმადიდებლობისა, და ბევრი ქარ-თველიც გადადიოდა სხვა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე, ოღონც კი სავსებით არ დაეკარგათ სახელი და ღმრთისმსახურება ქრისტესი. ამიტომ ბევრი ქართველი სიხარულით იღებდა კათოლიკობას, პროტესტანტო-ბას და გრიგორიანობას, რომლის გავრცე-ლებასაც, სხვათა შორის, ამ სარწმუნოე-ბის სამღვდელოებაც სცდილობდა.

ამათი შთამომავალი დღესაც ბევრია ქართველებში და, სხვათა შორის, თქვენც, ბატონებო, რომლებიც, აღიარებთ რა გრიგორიანთა სარწმუნოებას, ასე ერთგუ-ლად ემსახურებით საქართველოს ინტე-რესებს როგორც ქართველები ტომით

მოგეხსენებათ აგრეთვე ისიც, რომ სომ-ხური გაზეთები „ჰორიზონ-მშაკი“ თქვენ და თქვენისთანებს ქართველებად არა გთვლიან და ქართველ გრიგორიანთა არ-სებობა ზღაპრად მიაჩნიათ.

თქვენ მოვალენი ხართ ერთხელ კიდევ აუხსნათ სომეხ-შოვინისტებს, რომ სჯული და გვარ-ტომობა ერთი და იგივე არ არის და ქართველებშიც ბევრია სჯულით გრი-გორიანი.

თქვენ მოვალენი ხართ განუმარტოთ თქვენს მდგომარეობაში მყოფ ქართველ-გრიგორიანებს, გამოერკვნენ ბურუსიდან და მოსთხოვონ ტერტერ-ვარჟაპეტებს, რომ ქართველი გრიგო-რიანები, სრულიადაც არ საჭიროებენ სომხურ სკოლასა და სომხურ სულისკვე-თებას.

ყველა ამას გვათქმევინებს ის გარემოე-ბა, რომ სომხის პრესა მასხარად იგდებს ყოვლად სამართლიანსა და ისტორიულად დასაბუთებულ წერილებს პატივცემულ ზ. ჭ—ისას, „ქართველი გრიგორიანები“, რომელიც ჩვენს გაზეთში დაისტამბა და რომელიც ასე საწყენად დაურჩათ ჩვენს მეზობლებს.

თქვენ, როგორც ქართველები ტომით, და გრიგორიანები სარწმუნოებით, მოვალენი ხართ აუწყოთ მთელ ქვეყანასა და მათ შორის სომხებსაც, რომ ისინი ტყვილად ეპატრონებიან ქართველ-გრიგორიანებს და თავისი ასეთი ხელის ფათურით თქვენს სულსა, და გულში, შეურაცხყოფას აყე-ნებენ თქვენს ეროვნულ გრძნობას.

ჩვენა გვგონია, რომ მხოლოდ თქვენი და თქვენისთანა ქართველების პროტესტი საზღვარს დაუდებს სომხის შოვინისტების განგაშს.

ველით თქვენს პასუხს სომხებისადმი.

გაზ. „სამშობლოს“ რედაქცია.

P. S. ვსთხოვთ სხვა გაზეთებსაც ეს წერილი გადაბეჭდონ.

რედ.

---

მაც უსაქმურობისაგან ხეებს დაუწყო ტყე ში მტვრევა მსხვრევა რათა გაეკეთებინა რამე. და თუ რუსის ან რომელიმე სხვა ებრაელებისთვის ზრუნავთ და გწადი-ათ ასეთი შრომის გაწევა, მაშინ მოგახსე-ნებთ, რომ არც ეს არის თქვენი მოვა ლეობა. ვისაც ჰსურს შეუძლია ეს ქნას, მხოლოთ კი არა ისრაელი ქართველისათ ვისთ, არამედ, ჩვენთვის უცხო რუსის ებრაელებისთვის. თქვენ კი რაბინს, უფ-რო წმინდა პასუხსაგები მოვალეობა გა-წევთ თავზე, როგორც, მაგალითად თქვენს სამწყსოში ჩვენი რჯულის განმტკი-ცებაა. ჩვენ კი ისრაელ-ქართველებს ზედ მიწევნით გვესმის ჩვენს მშობლიურ ქარ-თულ ენაზე ჩვენი მგოსნები და სრული-ადაც არ გვეპიტნავება მათი ებრაულ ენა ზე წაკითხვა. ეს ენა ჩვენში მხოლოთ წმინდა და ღვთის მოვალეობას ასრულებს ამ ენით ჩვენ ღმერთს ვადიდებთ სალო-ცავში და მეტისთვის არც გვესაჭიროება. და სწორეთ რომ უაღრესი აბსურდი იქნე-ბოდა რომ მე, როგორც ქართველმა, ებრაულათ დაუწყო კითხვა შოთას, ან აკაკის:

ვიმეორებ ებრაულ ენით მე შევდივარ სალოცავში და უფალს ვადიდებ, ქართუ-ლი მშობლიური ენით კი, რომელიც სისხლში და ძვალ რბილში მაქვს გაჟღენ-თილი და რომელიც ზედმიწევნით მეს-მის, მე ვსარგებლობ ჩვენი ლიტერატუ-რის გასაცნობათ. მაგრამ, ქუთაისის რა-ბინის თქმის არა იყოს, ძაღლის თავი სულ სხვაგან არის ჩამარხული. მე კატე-გორიულად ვაცხადებ, ბ ნო ბააზოვო, რომ თქვენი ოცნების საგანს ის შეადგენს, ისრაელ ქართველებში სიონიზმის ფესვები გაუშვათ, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ საჯაროთ ამისი წინააღმდეგი აღიარეთ. „ფი-ცი მწამს და ბოლო მაკვირვებს“, ნათქვა-მი რომ არის, თქვენც სწორედ ასე მოგ-დით.

თქვენ შეგიძლიათ ათასჯერ სცადოთ და დაგვარწმუნოთ, რომ არც სიონისტი ბრძანდებით და არც გსურთ სიონიზ მის გავრცელება ჩვენში; ჩვენ კი, თქვენი წერილების მიხედვით, დავასკვნით ამას; ჩაუკვირდეს ვისაც ჰსურს თქვანს წერი-ლებს და დარწმუნდება, რომ მათი შინა-არსი სწორეთ ასეთის მიმართულებით არის გამსჭვალული. თქვენ ძალიან სცდი-ლობთ რომ ეს არ სჩანდეს ყველასთვის, მაგრამ მაინც ვერ გშველით კულტურულ-განმანათლებლის ნიღაბის აფარება. აღი-არეთ გაბედულად თქვენი ზრახვანი და მის-წრაფებანი, რა საჭიროა მიხვეულ-მოხვე-ული გზებით სიარული? „სოფელი ვნა ხეთ უძაღლო და შიგ გავიარე უჯოხო-თო“ თქვენც ისე ხომ არ ფიქრობთ?

ჩემი აზრების დასამტკიცებელი საბუთიც ხელში მაქვს. აიღეთ, მაგალითად გაზ. „სამშობლოს“ მე №135-ში მოთავსებუ-ლი ბ-ნ დ. ბააზოვის წერილი და გულ-დასმით გადიკითხეთ, პატივცემულო მკით-ხველო. ნუ თუ ეს წერილი მარტივზედ მარტივად არ გამოხატავს ჩემს დებულე-ბის ჭეშმარიტებას? თქვენ ბ ნო რაბინო, ლაპარაკობთ რა იეშიბების და რაბინთა წრეების დაარსებაზე დასძენთ: „ამის გან-სახორციელებლად სნჭიროა დაარსდეს იქნება, ფონდი. მთავარი ბინა უნდა იყოს ქუთაისში და, თუ საჭირო პეტრეგრადის „Общество распространенія культуры среди Евреевъ“ დიდის სიამოვნებით დაგვეხმარებოდა კი-დეც შემპირდენ ჩემ პეტროგრადში ყოფნის დროს და იქ უნდა მოიყაროს თავი ყველა წევრის ფულმა და კერძო შემოწირულებამაც“... შემდეგ უმატებთ: „ამით ჩვენ უშველიდით თავს მოსალოდ ნელი ასსიმილიაციისაგან“

ი. ხ - შვილი.

(შემდეგი იქნება).

# „პირ ახვეული“ ვაჭრობა.

ქვემო იმერეთიდან გვატყობინებენ, რომ იქ ადგილობრივ ადმინისტრაციას სოფლის ქალაქებისთვის აუკრძალავს „პირ ახვეული“ ვაჭრობა.

„პირახვეული“ ვაჭრობას ქვემო იმერეთის ქალები რუსთა შემოსვლის პირველ დღეებიდან ეწევიან. პირახვეული ვაჭრობა სწარმოებს შემდეგ ნაირად:

ჩვენი ხელ მოკლე სოფლის დედაკაცები თუ გასათხოვარი ქალები ბაზრობაზე, რომელიც კვირაში ერთხელ იმართება ხონსა და დიდი ჯიხაიში, დილა ადრიანად საშინაო დაგლეჯილ ტანთსაცმელში გამოწყობილი თეთრი მიტკლით პირის სახეს ნახევრად დაიფარავენ ხოლმე და ბაზარზე გასასყიდათ გააქვთ კვერცხი, ქათამი, ყველი და სხვა სოფლის ნაწარმოებნი

ვინც ჩვენი სოფლის ცხოვრებას იცნობს, მან კარგად უნდა უწყოდეს, რომ ჩვენი სოფლის მცხოვრებთა უმეტესობა წვრილმან აუცილებელ ხარჯებს სწორედ ამ ყველ ქათამ კვერცხის გაყიდვისაგან ასწორებს. აქედან აღებული ფულითვე იძენს პირველ აუცილებელ საჭიროების საგნებს: ნავთს, მარილს და სხ.

ახლა ვიკითხოთ თუ რათ იხვევენ ვაჭრობის, და განსაკუთრებით გაყიდვის დროს ქვემო იმერეთის ქალები პირისახეს?

ჩვენებურ ქალებს ისტორიულად თან დაყოლილი აქვთ ერთგვარი სიმორცხვე, ბაზარზე კალათით ხელში გასვლა და ვაჭრობა მათ ძლიერ ეთაკილებათ. ამიტომ არის, რომ სოფლის ქალები დილით ადრე ძველ ტანსაცმელში პირ ახვეული გამოვლენ სოფლის ნაწარმოების გასაყიდათ, შემდეგ უკან ბრუნდებიან სახლში ტანისამოსს გამოიცვლიან და ისევ ბაზარში გაბრუნდებიან საჭირო საგნების შესაძენად.

შეიძლება ასეთი ჩვეულება ჩვენ სოფლელ ქალებს უარყოფით მხარეთ ჩაეთვალოს და სთქვან, რომ ვაჭრობის რათ უნდა სცხვენოდესთო, მაგრამ, ბრძნეული თქმულებაა—ჩვეულება სჯულზე უმტკიცესიაო და აი, სწორედ „პირახვეული ვაჭრობაც“ იმერელ ქალებს ასეთ სჯულზე უმტკიცეს საგნად გაუხდიათ, პირაუხვევლად არც ერთს მათგანს არ შეუძლია, ბაზარზე სავაჭროდ გამოსვლა.

ამ გვარად, ადმინისტრაციის განკარგულება „პირახვეულ“ ვაჭრობის აკრძალვის შესახებ მათთვის პირდაპირ დამღუპველია, მით უფრო დღეს, როცა სოფელი მხოლოდ ქალების ამარაა დარჩენილი

ჩვენ ამით, რასაკვირველია, მხარს არ ვუჭერთ ამ ძველ ტრადიციულ ჩვეულებას, მაგრამ დღეს-დღეობით ამის აკრძალვა უხერხულ მოგომარეობაში აყენებს მათ, რადგანაც „პირახვეული ვაჭრობით“ თავის აუცილებელ მოთხოვნილებას იკმაყოფილებენ იგინი.

თუ ვისმეს არ მოსწონს „პირახვეული“ ვაჭრობა, მან ცალკე გამართულ საუბრის დროს ეცადოს შეაგნებიოს სოფლელებს, რომ ვაჭრობა სირცხვილი არ არის და მის წარმოების დროს სრულიადაც საჭირო არაა პირის ახვევა.

თორემ ყველ-კვერცხით დატვირთულ სავაჭროდ მიმავალ დედა კაცს რომ გზაზე ხვდებიან და პირსახვევს გლეჯენ, ეს ვერაფერი მოსაწონია.

სოფლელი.

# პროვინციის ცხოვრება.

**დაბა საჩხერე.** საზოგადოდ საჩხერის რაიონში მევენახეობა ძლიერ გავრცელებულია. სულ უბრალო სოფელსაც ვერ ნახავთ, რომ გლეხს საშუალოთ მაინც ერთი ქცევა ვენახი არ ქონდეს... ვენახი უმეტეს ნაწილათ ამერიკულია, რომლისათვის შაბიამანი აუცილებელი წამალია...

თანამედროვე საშინელმა ომმა, როგორც მოგეხსენებათ, ძლიერ შეაფერხა ინგლისიდან შაბიამნის მოტანა რუსეთში. და რუსეთის რკინის უთავდარიგობამ ხომ ეს შეფერხების პროცესი გააძლიერა... შარშან უშაბიამნობას რა მოყვა, ეს ჩვენ უკვე ვიცით... დღეს საშუალოთ ფუთი ღვინო—10—15 მანეთად ღირს... ასეთ ნაირად ფასის აწევა საზღაპრო საქმეა...

მევენახეებს უნდოდათ, რომ ამისთანა უბედურება მომავალშიაც აღარ გამეორებულიყო, და ამიტომ გაზაფხულის თავშივე შეუკვეთეს შაბიამანი აქაურ კოოპერატიულ მაღაზიას... როგორც სჩანს, მაშინ კოოპერატიული მაღაზიის გამგეს გირვანქაზე ათი შაური მოუთხოვია. თანვე ფული წინდაწინვე შეუგროვებია.

გავიდა სამი თვე... ყველა მოუთმენლად ელოდა შაბიამნის მოსვლას... კოოპერატივს ჯერჯერობით ვერ მოსდის შაბიამანი და ბურთი და მოედანი საჩხერის ჩარჩებს რჩებათ.. იმათ რაღაც მანქანებით მოაქვთ შაბიამანი და ყიდიან გირვანქას 2 მანეთად.

რასაკვირველია, პირველ ხანში მცხოვრებლები არ ყიდულობდენ შაბიამანს ჩარჩებიდან და კოოპერატივის იმედი ჰქონდათ, მაგრამ ვენახის წამლობა გვიანდებოდა, მცხოვრებლებს ეშინოდათ ვაი თუ გვიან მორწყვით კიდევ გაფუჭდეს ვენახიო და იძულებული იყვნენ შაბიამანი ჩარჩებიდან შეეძინათ გირვანქა 11 აბაზად.

როცა ვენახის მორწყვა სულ გათავდა, მხოლოდ მაშინ მოუვიდა ჩვენ კოოპერატივს შაბიამანი და, რადგანაც კოოპერატივს შაბიამანი ძვირად დაუჯდა, გირვანქა 10 შ. მაგიერ 18 შაურად გახადა.

კერძო ჩარჩებმა გაიგეს თუ არა, რომ კოოპერატივი გირ. შაბიამანს 18 შ. ყიდისო, იმ წამსვე მათაც დაუკლეს ფასი და ახლა გირვანქა შაბიამანს კერძო ვაჭრებიც 18—1 მ. ყიდიან საჩხერეში.

ჩხემენ—ჩხუ.

# სამღვდელოების მოლოდინი.

დასავლეთ საქართველოს სამღვდელოების დელეგატებმა სამღვდელოებას აუწყეს, რომ ეხლანდელ ეგზარხოსზე უფრო გულკეთილი კაცი ძნელად მოიძებნება და მისგან ბევრ სიკეთეს უნდა მოველოდეთო. ასეთმა ამბავმა დიდ აღტაცებაში მოიყვანა სამღვდელოება. ყველას ეგონა, რომ ქართულ ეკლესიას და მის სამღვდელოებას შვება მიეცემოდა. მაღალყოვლად უსამღვდელოესის პლატონის პეტროგრადიდან დაბრუნებას სამღვდელოება აღფრთოვანებით ელოდა, მაგრამ, დახეთ უბედურებას, ძალზე ნივთიერად შეწუხებულ სამღვდელოებას არც ერთი მოლოდინი არგაუმართლდა. რუსების „ზავტრას“ დასასრული არც ჰქონებია და არც ექნება და ამ ჟამადაც ასე მოხდა. ერთ კვირაზე მეტია, რაც ეგზარხოსი ჩვენ დედა ქალაქ თბილისში დაბრუნდა და ჩვენ საარსებო კითხვების საკეთილდღეოდ და გვირგვინებაზე კრინტიც არ დაუძრავს. სამღვდელოება კარგათ უნდა ხედავდეს, რომ მას, კვლავინდებურად ატყუებენ და დანაპირებისაგან არაფერი არ გამოვა. ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის ხსენება, ხომ ისეთ პროგრესიულ ადამიანსაც კი ეჯავრება, როგორც მიტროპოლიტი პიტირიმია; ჩვენში ჰყოფნის დროს ერთხელაც არ ყოფილა მისი მაგალითი, რომ ყოვლად სამღვდელო პიტირიმს გაბედულად ავტოკეფალიის შესახებ რამე ეთქვას. არა, სამღვდელოება ვერც ერთ თავის გულის წადილს ვერ აისრულებს,

მის დროშაზე უსათუოდ მსხვილი ასოებით უნდა აღენიშნოს სამართლიანობის პრინციპი, ძმობა და ერთობა. ამ რიგათ ხალხთან დაკავშირებული სამღვდელოება ყველა თავის კანონიერ მოთხოვნილებას დაიკმაყოფილებს და მისი დიდი ხნის მოლოდინიც აღსრულდება.

მ. ფარცხნადელი.

## ქართული სამეცნიერო და საფილოსოფოსო ტერმინოლოგია.

იოვანე პეტრიწის თარგმანის მიხედვით.

**წ.**

**წადიერი, წადნიერი**, желающій.

**წადილი**, желаніе.

**წათხი**, слизь, серозная жидкость.

**წარიმართება**, исправляется.

**წარიწირვოდა**, подвергался опасности, სიტყვიდან: წარწირვა.

**წარმართვა**, поступать правильно, идти по прямому пути.

**წარმართება**, (საქმის), устроить (дѣло). აქედან: წარმართოს, пусть устроитъ.

**წარმართებული**, цравильный.

**წარმიპარვიდეს ჩვენ**, отвлекаютъ насъ, სიტყვიდან: წარპარვა.

**წარმოდგენა**, представленіе.

**წარმოთხეული**, изливаемый.

**წარმოიჩინნეს**, образованы были.

**წარმოჩენილი**' проявившійся,

**წარმოჩინება**, проявленіе.

**წარმყრელი**, выпускающій, выдѣляющій, испражняющій.

**წარწირვა**, подвергаться опасности.

**წენტილი**, ნიშანი, знакъ, точка: „წენტილი სიგრძეთაებრ და სივრცეთა“, знакъ по долготѣ и широтѣ.

**წერილი**, აღწერილი, писаніе.

**წესი**, порядокъ, правило.

**წესნიერი**, порядочный, благородный.

**წვერი**, кончикъ

**წვლილადი**, тончайшій.

**წვლილი**, тонкій.

**წიდი**, грязь, ушная сѣра.

**წინა**, передній.

**წინაალჩევითი**, произвольный, по выбору.

**წინაალუდგების** (და არა ეწინააღ-დეგება), противустоитъ.

**წინაგამგე**, промышляющій.

**წინაგამგეობა**, промышленіе.

**წინაგანეწყო**, былъ противъ, возразилъ.

**წინაგანმვლელი**, предшествующій.

**წინაგანმზრახი**, предумышленный.

**წინაგანმწყობი**, противудѣйствующій.

**წინაგანსაწყობელი**, возраженіе. ამ მცნების გამოსახატავად უმჯობესია ვიხმაროთ: „უკუთქმა“.

**წინაგანურჩეველი**, происходящій не изъ свободнаго выбора.

**წინაგანწყობა**, стойкость, противодѣйствіе, возраженіе.

**წინადადება**, განზრახვა, предположеніе, гипотеза, намѣреніе.

**წინადამდებელი**, предполагающій.

**წინამდებარე**, предстоящій

**წინამეტყველებს მომავალსა**, предсказываетъ будущее.

**წინამეუწყეობა**, предвѣдѣніе.

**წინამძღვარი**, предшествующій.

**წინწილაჲ**, кимвалы; რუსულ თარგმანში: флейта.

**წირი**, линія; წირნი, ნახატი, მხატვრობა.

**წმიდა**, безпорочрый.

**წრიმლვაჲ**, წირპლი (თვალისა), катарральныя выдѣленія краевъ глазныхъ вѣкъ.

**წრფელი**, სწორი, прямой.

**წუთ-წუთ**, поминутно.

**წუმწუბაჲ**, сѣра.

**წურთაჲ**, упражняться, заниматься.

**წურილადი**, წვლილადი, тонкое.

**წუხილი**, страданіе.

**წუხნეული**, огорчаемый.

**წყლებრივი**, водянистый.

**წყლვასაკრველი**, თავზარი, ужасъ.

**წყლვაჲ ჰაერისაჲ**, ударъ, сотрясеніе воздуха.

**წყლის-შორისნი** (ცხოველნი), водяныя (животныя).

**წყლული**, рана.

**წყლტუ**, гладкій.

**წყმდების**, исчезаетъ, гибнетъ, სიტყვიდან: წყმედა, гибнуть.

**წყნარი**, ровный.

ვასილ წერეთელი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

რადგან ბატ ირ. გელოვანი თქვენის გაზეთის ქრონიკაში მოთავსებულ შენიშვნას აუძულებია ხელში კალამი აელო და უარ ეყო, რაც მის შესახებ იყო გაზეთში მოხსენებული, მე იძულებული, ვარ რაოდენათ, კორრექტივი შევიტანო თვით იმ შენიშვნებში და მით სრული სურათი გადვუშალო საზოგადოებას, რომ ცოტათი მაინც წარმოდგენა იქონიონ, როგორ პირობებში უხდება კოოპერატივს მუშაობა. და თუ ამ გზით ბატ. ი. გელოვანი ჩავარდება არა სასიამოვნო მდგომარეობაში, ნუ გაგვიკისხდება რა ჩვენი ბრალია. ეს როდი ჩვენ არ დაგვიკისრნია მისთვის.

როგორც მოგეხსენებათ ამ უკანასკნელ დროს ფქვილის მიწოდება მცხოვრებლებისათვის იკისრა თვით ქუთაისის თვითმართველობამ. მას ამისთვის აქვს თავისი საკუთარი საწყობები. რკ. გზ სადგურის ახლოს. ოცს ივნისს ჩვენი, ესე იგი კოოპერაციის, მუშა ეახლა ბატ. ი. გელოვანს ფქვილისთვის. ბატ. ი. გელოვანმა მოსთხოვა ბატ. არდიშვილისგან ნებართვის წერილი „რომ კოოპერაციას აქვს უფლება წაიღოს ქალაქის საწყობიდან ფქვილი“ და რამდენი. მუშამ მიიღო ბატონ. არდიშვილისგან სათანადო წერილი. ამ წერილით ბატ. ი. გელოვანს უნდა მიეცა კოოპერაციისთვის ოცი ცალი ფქვილი. წერილით ხელში ჩვენ ერთად წარვუდექით ბატ. ი. გელოვანს, სრული იმედით, რომ ფქვილს მივიღებდით, მაგრამ მწარეთ მოვსტყუვდით: არც წერილმა და არც ჩვენმა დეპუტაციამ მასთან არ გასჭრა, წარმოუდგენლათ უარი გვეტყოდა შემდეგი სიტყვებით: „რომ მას ფქვილი სადგურზე არ მიუღია და რაც საწყობში აწყვია—ყველა გაფუჭებულიაო“. ნუ დაგვავიწყდება, ბატ. გელოვანი ამას ამბობს მაშინ, როცა საათის წინ ამაზე არას ეუბნება ჩვენს მუშას, თუ ფქვილი გაფუჭებულია, პირიქით, წინადადებას აძლევს ბატ. არდიშვილისგან ნებართვის წერილი მოიტანეთო, ცხადია, რომ მას მაშინ ფქვილი ქონდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი წინადადებით ის მუშას არ მიმართავდა. ასეთი განცხადების შემდეგ, ჩვენ მივუთითეთ გელოვანს ანგარიში გაეწია ბატ არდიშვილის წერილისათვის და კოოპერაციის წარმომადგენლებს სათანადო ყურადღებით მოქცეოდა, მაგრამ ამაოდ. ჩვენს თხოვნაზე—ოცი ცალის მაგიერ დღეს მხოლოდ ექვსი ცალი ფქვილი მოგცეთ—ვერილით და უკმეხი სიტყვით მიგვითითა ზემო მოყვანილ მიზეზებზე და არ გვცალა სიტყვის გათავება, გაგვშორდა.

რადა დაგვრჩენოდა, უფქვილოდ დარჩენა არ შეგვეძლო, მივმართეთ ისევ ბატ. არდიშვილს, ავუხსენით საქმის გარემოება და განცხადებით გელოვანის მოქმედებას და ვთხოვეთ ხუთი ცალი მაინც მოეცა, დანარჩენი კი მიღებისათანავე, რაზედაც დაგვეთანხმა და მოგვიწერა წერილი დასხლოვებით შემდეგი შინაარსის, ახლა უკვე პლ. გორძაიას სახელზე: „მიეცით უსათუოთ კოოპერაციას ხუთი ცალი ფქვილი №6 ემები არ იყოს, თუ ნუ იქნება“. დანარჩენს კი მიღებისთანავე მივიღებდით ამის შემდეგ საწყობიდან მოგვცეს ხუთი ცალი ფქვილი, საინტერესოა საქმის გამოსარკვევათ შემდეგი გარემოება: მისვლა-მოსვლა ჩვენი უპრავასა და ბატ ი. გელოვანის შორის დაიწყო დილის თერთმეტი საათიდან. ამ დროიდან იმ დღეს მას ახალი ფქვილი არ მოსვლია. ყველა ამის შემდეგ კითხვა იბადება: 1) თუ ბატ. ი. გელოვანს თავდაპირველად, როცა ჩვენი მუშა ფქვილისთვის მივიდა, ფქვილი გაფუჭებული ჰქონდა, რათ და სწორედ მას მოეთხოვა მუშისთვის ნებართვის წერილი, და არ უთხრა ფქვილი ყველა გაფუჭებულია?! 2) და თუ მას მაშინ გაფუჭებული არ ქონდა ზნეობრივათ მოვალე იყო თუ არა სანამ ჩვენი მუშა მოიტანდა წერილს, მისთვის ფქვილი შემოენახა? 3) თუ ყველა ის ფქვილი, რომელიც საწყობში ეწყო, გაფუჭებული იყო, როგორ შესძლეს ჩვენთვის გადმოეცათ ხუთი ცალი და თუ ეს შესაძლებელი იყო, რატომ მაშინ, როცა ჩვენ მივმართეთ მას, არ მოგვცა და ტყუილა უბრალოდ ასე გაგვაწამა? ყველა ამის შემდეგ ჩვენ ღრმათ დარწმუნებული ვართ და წამკითხველიც, თუ ჩაუკვირდება საქმის გარემოებას, პირდაპირ იტყვის, რომ ბ. ი. გელოვანი კოოპერაციის მოყვარე - მოკეთე არ არის. ამის შემდეგ იგივე ბატ. ირ. გელოვანი გაბედავს და საჯაროდ გამოაცხადებს, რომ „ყოველივე ეს სიმართლეს მოკლებულია და გასაკვირალიო“.

პ. თალაკვაძე.

—

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ დამიმოწმოთ, რომ ოზურგეთიდან გამოგზავნილი რეცენზია პიესა „გამცემი“-ს შესახებ მე არ მეკუთვნის და აგრეთვე ისიც, რომ „ელექტრიკი“-ს ფსევდონიმით არავითარი წერილი არ გამომიგზავნია თქვენთვის ოზურგეთიდან და ამაცილოთ თავიდან მოსალოდნელი უსიამოვნება*).

პატივისცემით გ. მუმლაძე.

*) ვამოწმებთ, რომ მოხსენებული წერილები ბ გ. მუმლაძეს არ ეკუთვნის- რედ.

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხან. „სამშობლო“



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 8 ს 5 | წ. |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 55 | „ |
| ბათომიდან | — დღისით | —12 ს. 45 | „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 25 | „ |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს 31 | „ |
| ტყიბულიდან | —საღამოს | — 6 ს. 55 | „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | —დილის | —11 ს. 5 | „ |
| „ | — ღამის | —12 ს. 30 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 10 | „ |
| „ | — დილის | — 6 ს. — | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. 13 | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 5 ს. 25 | „ |
| შორაპნისაკენ | —დღით | — 6 ს. 25 | „ |

მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ჟორჟოლაძეების სამკურნალო

## აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, საყმაწვილოს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

## საღი კუჭი
# უელაგარი ექ. ვეზისა.

ახალი მეცნიერულად შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ უაზზობის, მოშლის, ნაწლევების, კატარის და საჭმლის გადამხარშველ ნაწილების სისუსტის წინააღმდეგ.

ქრონიკული უაზზობა წყაროა მთელი წყება კუჭ-ნაწლევების მოშლისა, პირის დებინებისა, სიმწვავისა, მუცლის ბერვისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლევების კატარისა, გემოროისა, იწვევს სისხლის მოწამლვას, თავის ტკივილებს, მადის დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა—დასუსტებას. უაზზობის წინააღმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ საფაღარათო წამლებს, რომელიც არა თუ სპობს უაზზობას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.

პრეპარატი **უელაგარი** ექ. ვეზისა აქარწყლებს კალაგვის მასსას, ასადებს ნაწლევებს, აშორებს უდებობას და აჩვევს მას ნორმალურ მუშაობას და რადიკალურათ სპობს ჭვალს, ნაწლევების კატარს, მიგრენს და სხვა სისუსტეს, რომელიც გამოწვეულია უაზზობისაგან. **უელაგარი** სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისთვის და სრულებით ადვილი გადასატანია თვით ჯიუტ ავათმყოფობისაგანაც კი. პრეპარატ **უელაგარს** ხმარობენ გამოჩენილი პროფესორები კუჭის ავათმყოფობის დროს და მოწონებულია როგორც უტყუარი და სარწმუნო საშუალება კუჭის ყოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის.

დაწვრილებითი ბროშურა კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება უფასოთ.

ნამდვილი **უელაგარი** ექ. ვეზისა მზადდება საფრანგეთსა და რუსეთში. იყიდება „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის განყოფილებაში“ და ქუთაისში **ა. პ შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩაზე, ქალაქის თეატრის პირდაპირ.

უელაგარის ერთი კოლოფი ღირს 3 მ., მოსარჩენათ საჭიროა 3—5 კოლოფი. 9 (წლიური)